მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2016 წლის 31 მაისი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს და დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს №3 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 11/08/2014, 190040000.35.153.016208)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჯემალ სოლოღაშვილი**

დანართი

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
1.1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
1.2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1900
1.3	საკრებულოს აპარატის უფროსი (წამყვანი საჯარო თანამდებობის პირი)	1200

1.4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1550
1.5	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი (უფროსი საჯარო თანამდებობის პირი)	1010
1.6	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე (უფროსი საჯარო თანამდებობის პირი)	990
1.7	მთავარი სპეციალისტი (უფროსი საჯარო თანამდებობის პირი)	760
1.8	წამყვანი სპეციალისტი (უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი)	740